ISSN 1512-1801

The 4th Teacher Conference "**University and School**" (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

ეფექტური კომუნიკაცია - სკოლის ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი

ნათია კალანდაძე

ქ.ქუთაისის №15 საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგი, არასამთავრობო ორგანიზაცია ,,აკმე"–ს

თანადამფუძნებელი, დირექტორი

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია სკოლის ორგანიზაციული კულტურის ძირეულ კომპონენტთან, სასწავლო გარემოსთან, დაკავშირებული მსჯელობა. ავტორს ნაშრომში შემოთავაზებული აქვს მეტად ორიგინალური სტრუქტურული გადაწყვეტა - მოცემულია სასკოლო სივრცეში პედაგოგთა ეფექტური თანამშრომლობა-კომუნიკაციის თემისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სტატიების ანალიზი და ამ კონტექსტში განხილულია თანამედროვე ზოგადი განათლების სისტემაში არსებული ძირითადი ტენდენციები. ნაშრომში მკაფიოდ ჩანს ავტორისეული ხედვა სასკოლო სივრცეში პედაგოგთა შორის თანამშრომლობის მიზნების, შედეგებისა და ზოგადი კანონზომიერებების შესახებ. არგუმენტირებული მსჯელობის საშუალებით შემოთავაზებულია განათლების სისტემაში შიდასასკოლო კულტურის თვალსაზრისით არსებული ვითარება და დასმულია პრობლემები, რომელთა მოგვარება ავტორს სწავლება-სწავლის ხარისხის ამაღლების წინაპირობად მიაჩნია.

საკვანძო სიტყვები: *თანამშრომლობა, სასწავლო გარემო, სასკოლო კულტურა.*

ადამიანებს, რომლებიც თანამშრომლობენ ერთმანეთთან, აქვთ საინტერესო და საქმიანი ცხოვრება, მათ საშუალება ეძლევათ გახდნენ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები. ჩვენ ვსაუბრობთ ყველაზე რთულ ნაწილზე, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს პიროვნების განვითარებისა და ჩამოყალიბების პროცესში, თანამშრომლობით უნარები ყველაზე აუცილებელი და ძნელად მიღწევადია რიგ გარემოებათა გამო. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკამ შეცვალა ადამიანთა დამოკიდებულებები, ჯანსაღი კონკურენცია ყველაზე რთულად გასაგები ცნება გახდა. XXI საუკუნე თავის მოთხოვნებს გვიყენებს წარმატების მისაღწევად, გარემო ითხოვს დადებითისკენ შეცვლას, სიახლეს, ინოვაციას, დადგა დრო ვუპასუხოთ გამოწვევებს და ხელი შევუწყოთ განვითარების პროცესს, რომელიც ყველაზე კარგად მოსწავლებში აისახება.

წინამდებარე ნაშრომის სტრუქტურული აგებულება და პათოსი შემდეგი კონტექსტითაა განსაზღვრული - განათლების საკითხებზე არაერთი სტატია და ნაშრომია შექმნილი,

ISSN 1512-1801

რომელთა შორის ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სკოლის ორგანიზაციული კულტურის ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტი, როგორიცაა თანამშრომლობა საგანმანათლებლო სივრცეში. ნაშრომში წარმოდგენილია რამდენიმე მნიშვნელოვანი ავტორის ხედვა სასკოლო თანამშრომლობის ასპექტების შესახებ და აღნიშნული აკადემიური ხედვების ჩვენეული ინტერპრეტაცია.

როგორც განათლების მკვლევარი ენდი ჰარგრივსი წერს: „მასწავლებლობა პარადოქსული პროფესიაა, ყველა იმ საქმიანობას შორის, რომელიც უკვე არის და ყალიბდება პროფესიად, მხოლოდ მასწავლებელს მოეთხოვება ისეთი უნარ–ჩვევებისა და შესაძლებლობების განვითარება, რომელთა მეშვეობითაც ინდივიდები და ორგანიზაციები გადარჩებიან და მიაღწევენ წარმატებას თანამედროვე ცოდნის საზოგადოებაში. მასწავლებლები, ყველა სხვა პროფესიის წარმომადგენლებზე მეტად, ვალდებულნი არიან, შექმნან მსწავლელთა საზოგადოება და განავითარონ ინოვაციის, მოქნილობისა და ცვლილებებისადმი მზადყოფნის შესაძლებლობები, ვინაიდან დღეს ეკონომიკურ კეთილდღეობას სწორედ ეს განაპირობებს. ამავდროულად, მასწავლებელს იმ ფართომასშტაბიან პრობლემებთან ბრძოლა უწევთ, რომლებსაც თავად ცოდნის საზოგადოება ქმნის."

არახალია, რომ ქართული განათლების სისტემა ისწრაფვის შექმნას ისეთი სწავლის მოდელი, რომელიც მოგვცემს საშუალებას ზოგადტრანსფერული უნარები განვუვითაროთ ზოგადი განათლების საფეხურზე მოზარდებს, რათა მათ შეძლონ აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და იყვნენ „მსწავლელთა საზოგადოების" სრულუფლებიანი წევრები. ყოველივე ეს კი, ჩვენი აზრით, სწორი, ადეკვატური და მიზანმიმართული კომუნიკაციით მიიღწევა, რომელიც თავისთავად რთული პროცესია და გულისხმობს ინფორმაციის ან იდეების გაცვლას ვერბალურად, არავერბალურად თუ წერილობით. თანამედროვე განათლება სამ ძირითად მიმართულებას ეფუძნება თანამშრომლობაში: **მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი,** მათ დამაკავშირებელ რგოლად უპირველეს ყოვლისა პედაგოგს მივიჩნევ, ვინაიდან ის არის მსწავლელთა საზოგადოების განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი. კომუნიკაცია გულისხმობს არამარტო ინფორმაციის მიწოდებას, არამედ მიღებას. ცხადია ყველაზე დიდი პრობლემა გაცემა და მიღებაა. აქ ხშირად ფსიქოლოგიური, თვითგადარჩენის და არასწორი გააზრების პრობლემები იკვეთება, მაშინ, როდესაც პედაგოგებს არ შეუძლიათ:

- „უსმინონ ერთმანეთს საუბრის შეწყვეტის გარეშე
- ერთმანეთის გამხნევება (გამოიხატება მხოლოდ ფუჭსიტყვაობაში ნიღბის დახმარებით)
- მოსმენა და სხვისი იდეების მიღება
- სხვისი უნარებისა და სიძლიერის აღიარება
- არ მეტოქეობდნენ ერთმანეთში და ზრუნავდნენ ერთმანეთის წარმატებაზე
- მშვიდად განიხილავდნენ პრობლემებს

ISSN 1512-1801

- რეალურად გამოხატონ ურთიერთპატივისცემა
- იმუშაონ გუნდის წარმატებისათვის და არა მხოლოდ საკუთარი წარმატებისათვის"[1]

თანამშრომლებსა და სკოლის სხვა პერსონალს შორის კეთილგანწყობილი თანამშრომლობითი ურთიერთობა მასწავლებლებისა თუ მოსწავლეებისთვის პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის წინაპირობაა. მასწავლებლებს შორის უარყოფითმა დამოკიდებულებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მოსწავლის მიღწევებს და ხელი შეუშალოს ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვას.

თუ ისევ ენდი ჰარგრივსის ნაშრომს დავეყრდნობით, „სკოლის საერთო წარმატება კეთილგანწყობილ/თანამშრომლობით პროფესიულ ურთიერთობაზეა დამოკიდებული.ძველი იაპონური ანდაზა ამბობს: ,,არც ერთი ჩვენგანი არ არის ისეთი გონიერი, როგორც ჩვენ ყველანი ერთად". ერთად მუშაობა სამუშაოს დატვირთვას ამსუბუქებს. მოვალეობა და პასუხისმგებლობა აღიარებულია, თუმცა რამდენად რეალურია ურთიერთთანამშრომლობა ეს საკმაოდ მტკივნეული თემაა. დღეს უკვე ცვლილებების მზარდი ტემპი სულ სხვა გარემოს ჰქმნის, ჩვენ გადავდივართ ,,სწავლის ეკონომიკაში", სადაც ინდივიდების, ფირმების, რეგიონებისა და ქვეყნების წარმატება მათი სწავლის უნარის ინდიკატორი იქნება. პრობლემა, რომელიც თანამშრომლობას ეხება, საკმაოდ დელიკატური საკითხია. უნდა ვაღიაროთ, რომ სკოლის წინსვლა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება არა მარტო რეფორმებით მიიღწევა, არამედ ღირსეული და არა ფარსირებული თანამშრომლობით, რაც საკმაოდ კარგად გამოიხატება სხვადასხვა ქმედებაში.

ეფექტური გუნდური მუშაობისა და პრობლემის გადაჭრის, სწავლების განვითარებისა და მართვისთვისთვის აუცილებელია ემოციური ინტელექტის შემადგენელი ხუთი ძირითადი კომპეტენცია:

- იცოდე და შეგეძლოს საკუთარი ემოციების გამოხატვა
- სხვისი ემოციების მიმართ თანაგრძნობის გამოჩენა
- ემოციების გაკონტროლება და რეგულირება
- საკუთარი და სხვების მოტივირების უნარი
- სოციალური უნარ–ჩვევების ფლობა, რომელთა მეშვეობითაც პირველი ოთხი კომპეტენციის ქმედებაში მოყვანა შეიძლება."[2]

[1] http://www.cyh.com/HealthTopics/HealthTopicDetailsKids.aspx?p=335&np=286&id=2962

[2] http://www.tpdc.ge/images/stories/pdf/sgs.pdf

ISSN 1512-1801

ვფიქრობთ, წარმოადგენილი მსჯელობა ცალსახად გვანახებს რეფორმის მიმართულებებში რა ტიპის საჭიროებები გვაქვს დასაძებნი. რომ მხოლოდ ჰოლისტური მიდგომა საკითხებისადმი და ზოგად კონტექსტში აღქმა მასწავლებლის პროფესიული კომპეტენციისა არ მოგვცემს საშუალებას სხვადასხვა კონკრეტული უნარები განვუვითაროთ მათ. რეფორმის განმახორციელებელმა სუბიექტებმა აუცილებლად უნდა გაამახვილონ ყურადღება სასწავლო გარემოს კომპონენტზე, რადგან როგორც თანამედროვე სამეცნიერო შრომები ცხადყოფს, ნებისმიერი სიახლისა და ინიციატივის იმპლემენტაცია სწორედ შიდასასკოლო მიზანმიმართულ და ჯანსაღ კომუნიკაციაზეა დამოკიდებული. როგორც ავტორი ხსნის, ყოველივე ეს შეუძლებელია, თუ კი მასწავლებელს არ აქვს პრაქტიკულ დონეზე გაცნობიერებული ემოციური ინტელექტის ხუთივე კომპეტენციის საგაკვეთილო და. ზოგადად, სასკოლო გარემოში რეალიზაციის საჭიროება.

„მასწავლებლის პროფესიული კომპეტენცია იმით განისაზღვრება, რამდენად შეესაბამება მისი ცოდნა, უნარ-ჩვევები და განწყობა-დამოკიდებულებები მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს, ხოლო ქმედება - პროფესიული ეთიკის კოდექსს. ამის მიხედვით ფასდება, წარმატებულია თუ წარუმატებელი პედაგოგის საქმიანობა. ერთ-ერთი არსებითი ასპექტი, რომელსაც მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტსა თუ პროფესიული ეთიკის კოდექსში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, კოლეგიალობაა. მასწავლებელს, თუ ის გულწრფელია და აქვს თვითშეფასების უნარი, თავის პროფესიულ კომპეტენციაზე მართებულ წარმოდგენას ისიც უნდა უქმნიდეს, რამდენად შეუძლია კოლეგებთან ურთიერთობა.

პედაგოგთა კოლეგიალობა - ეს არის მუდმივი მზადყოფნა თანამშრომლობისთვის, პედაგოგიური გამოცდილების, ხელმისაწვდომი ინფორმაციისა თუ ახალი ტექნოლოგიების, ინოვაციების უანგარო გაზიარებისთვის, რაც, თავის მხრივ, აუცილებელი წინაპირობაა როგორც თავად მისი, ასევე მისი კოლეგების პროფესიული განვითარებისა და სწავლება-სწავლის ხარისხის უზრუნველყოფისა, საბოლოო ჯამში კი - სკოლის პრესტიჟისა და მისი შემდგომი განვითარებისა.

პედაგოგების ერთმანეთისადმი კოლეგიალური დამოკიდებულება პოზიტიური მაგალითია მათი აღსაზრდელებისა თუ მშობლებისთვის. ამასთან, ეს დამოკიდებულება განსაზღვრავს კოლექტივის საერთო სოციალურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, კლიმატს. პედაგოგიური კოლექტივის პოზიტიური სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი ძალზე მნიშვნელოვანია სასწავლო დაწესებულების ნორმალური ფუნქციობისთვის. თუ კლიმატი დადებითია, კოლექტივის წევრები ერთმანეთთან ურთიერთობით კმაყოფილნი არიან, აქვთ კარგი სამუშაო განწყობა, ახალგაზრდა პედაგოგებს უადვილდებათ კოლექტივში ადაპტაცია. თუ პედაგოგებს განვითარებული აქვთ კოლექტიური იდენტობა, კრიტიკისა და თვითკრიტიკის, ერთობლივი ქმედებისას წარმატებისა და წარუმატებლობის გამო პასუხისმგებლობის გადანაწილების, კონფლიქტების პრევენციისა და მართვის უნარები,

ISSN 1512-1801

კოლექტივი ერთიანია, მიზნები და ამოცანები - გაცნობიერებული, ერთობლივი შემოქმედებითი მუშაობა - აქტიური."[3]

როგორც ვხედავთ, ამ მნიშვნელოვან საკითხს არც ქართული განათლების სისტემა უვლის გვერდს და განსაკუთრებული ყურადღების საგნად აქცევს. ჟურნალ მასწავლებელში გამოქვეყნებული სტატიის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, ცხადია, ავტორის მიზანმიმართულება. განათლების ექსპერტი სასწავლო გარემოს განიხილავს, როგორც მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის სავალდებულო ნაწილს და გვთავაზობს საკუთარ ხედვას, როგორ შეიძლება გამოიმუშავოს მასწავლებელთა პროფესიულმა საზოგადოებამ ის უნარები, რომლებიც, პირველ რიგში, სწავლება-სწავლის ხარისხის გაზრდის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს.

ზოგადად ცნობილია, რომ ადამიანებს, რომლებიც თანამშრომლობენ ერთმანეთთან, აქვთ საინტერესო და საქმიანი ცხოვრება, სხვებს კარგად ეგუებიან და არიან საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები. ჩვენს ამ მსჯელობას ამყარებს ავსტრალიის ქალთა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ვებ-გვერდზე გაწერილი ცოდნა-ჩვევები და უნარები, რომლებიც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოში ურთიერთანამშრომლობითი უნარების მქონე საზოგადოებას:

- „ისინი არიან კარგი მსმენელები
- კარგი ყოფაქცევის
- ისინი მზად არიან გადალახონ სიძნელეები და წავიდნენ კომპრომისზე ისე რომ ყველამ მიიღოს ის რაც უნდოდა
- პასუხისმგებლობას იჩენენ თავიანთ მოქმედებებზე
- ისინი ასრულებენ დანაპირებებს
- ყოველთვის არიან სამართლიანები
- ისინი არ იტყუებიან და არ ჭორაობენ
- ეხმარებიან სხვებს
- ისინი მიდიან დათმობაზე
- ზრუნავენ გუნდის კეთილდღეობაზე
- არ აიძულებენ სხვებს გააკეთონ რაც მათ სურთ
- სხვებს აგრძნობინებენ თავს საჭირო ადამიანად
- აქვთ თანაგანცდის, ემპათიის უნარი"[4]

[3] http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=64

[4] http://www.cyh.com/HealthTopics/HealthTopicDetailsKids.aspx?p=335&np=286&id=2962

ISSN 1512-1801

ისევ დავუბრუნდეთ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეს და ვნახოთ როგორ უყურებს იგი პროფესიული კომუნიკაციის ისეთ მნიშვნელოვან ასპექტს, როგორიცაა „ კრიტიკული მეგობრის" მონაწილეობა საკუთარი პროფესიული საქმიანობის დაგეგმვასა და განვითარებაში: „ სასწავლო პროცესის დახვეწისა და მასწავლებელთა პროფესიული ზრდისთვის მნიშვნელოვანია, მასწავლებელს შეეძლოს ჯანსაღი კონსტრუქციული კრიტიკის (და არა ქილიკის ან ბრალდების) მოსმენა და მიღება-გათვალისწინება, ასევე - კოლეგის დელიკატური, კონსტრუქციული კრიტიკა. ამგვარი მიდგომა ხელს შეუწყობს წარსული შეცდომების გაანალიზებას და მომავალში მათ თავიდან აცილებას. სწორედ ამით არის ნაკარნახევი დასავლურ საგანმანათლებლო სივრცეში მასწავლებელთა ურთიერთანამშრომლობის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური სტრატეგიის - კრიტიკული მეგობრების ინსტიტუტის – დანერგვა; სტრატეგიისა, რომელიც სასწავლო პროცესში მასწავლებელთა ურთიერთდაკვირვებას ითვალისწინებს."[5]

ცხადია, უნარი, შეგეძლოს კრიტიკული შენიშვნა აქციო პროფესიული განვითარების წყაროდ, მართლაც გამორჩეული ღირებულების მატარებელი ადამიანების ხვედრია. თუ პედაგოგს თავად აქვს მოთხოვნილება მოისმინოს კონსტრუქციული, ჯანსაღი კრიტიკა, რა თქმა უნდა, იგი იმავე უნარის განვითარებას შეეცდება საკუთარ მოსწავლეებთან მუშაობაში, რაც ცალსახად უდიდესი წარმატება იქნება როგორც საკუთრივ ამ პედაგოგისა, ისე მთლიანად სკოლის.

აქვე კიდევ ერთხელ მოვიყვანოთ ამონარიდი განათლების მკვლევარ ენდი ჰარგრივსის სტატიიდან „სწავლება ცოდნის საზოგადოებაში: განათლება გონიერებისთვის" , რაც მოგვცემს საშუალებას გავიაზროთ თანამედროვე ცოდნის ეკონომიკის პირობებში რა ტიპის უნარგანვითარებული თაობის აღზრდას გვიკვეთს მსოფლიო:

„ვინაიდან მასწავლებლები ცოდნის საზოგადოების კატალიზატორები არიან, მათ ვალდებულებად მიიჩნევა თანამშრომლობის საფუძველზე სკოლები სასწავლო ორგანიზაციებად აქციონ, სადაც სწავლის შესაძლებლობები და სწავლის ხელშემწყობი სისტემა ხელმისაწვდომია.ისეთ პროფესიონალად დახვეწასა და ჩამოყალიბებაზე, რომელიც აფასებს პრობლემის გადაჭრის, რისკის გაწევის უნარს, პროფესიულ ნდობას, ცვლილებებთან თავის გართმევის უნარსა და უწყვეტი გაუმჯობესების მიმართ ინტერესს. დღეისათვის უკვე თანდათან ყალიბდება ცოდნის ეკონომიკისთვის სწავლება, რომელიც ეფუძნება თანამშრომლობას, ხელს უწყობს და ავითარებს:

[5] http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=64

ISSN 1512-1801

- შემოქმედებითობას და მიმღებლობას
- მოქნილობას
- პრობლემის გადაჭრის უნარს
- გონიერებას
- კოლექტიურ ინტელექტს
- პროფესიულ ნდობას
- რისკის გათვალისწინების უნარს
- პროფესიულ ზრდას"[6]

საბოლოო ჯამში უნდა დავასკვნათ, რომ სახელმწიფოს მხრიდან სკოლის ორგანიზაციული კულტურის მიმართულებით გაკეთებული აქცენტები ხელს უწყობს მასწავლებლის პროფესიულ განვითარებასა და ზრდას. სერტიფიცირების საკითხმა, ვფიქრობ, მართლაც გამოაფხიზლა მასწავლებელთა საკმაოდ სერიოზული ნაწილი. საერთო ინტერესმა ჩამოაყალიბა თანამშრომლობის ჯგუფები. უნდა ვაღიაროთ, რომ ამას დაემატა სქემაში ჩართულობის მოთხოვნა, კიდევ უფრო მეტად დაუკავშირდნენ ერთმანეთს პედაგოგები და ერთი პრობლემის ირგვლივ გაერთიანდნენ, გამოიკვეთა წარმატებული პედაგოგები პროფესიონალიზმის საფუძველზე. კონფერენციებმა, ტრენინგებმა, უნივერსიტეტების ჩართულობამ უფრო საფუძვლიანი გახადა მათი მეგობრობა რეგიონის მასშტაბითაც კი, ამ მხრივ ინტერნეტი საკმაოდ დადებითი როლით შემოდის და საშუალებას აძლევს მათ ერთმანეთის მოსაზრებებს შეხვედრებამდე გაეცნონ, მიიღონ რჩევები და ,,კრიტიკული მეგობრის"სტატუსი რეალურად ქმედითი გახადონ. ეს ადამიანები არ არიან ერთმანეთთან მხოლოდ პირადი ინტერესებით დაკავშირებულები, ისინი მართლაც ზრუნავენ საკმაოდ დიდი შრომის ფასად მომავალ თაობაზე.

მართალია ჩემთვის პირადად დიდი ფუფუნებაა ასეთი პროფესიული საზოგადოების წევრობა, სასიხარულოა გყავდეს მაღალკვალიფიციური პედაგოგი მეგობრები, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანი და შედეგიანი იქნება, თუკი პეროფესიული თანამშრომლობა, პირველ რიგში, სწორედ ერთი სკოლის სამასწავლებლო კოლექტივის ფარგლებში იქნება. ვფიქრობ, კონკრეტულ სასკოლო სივრცეში პედაგოგებს შორის თანამშრომლობითი უნარ-ჩვევების განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, გაკვეთილებისა და პროექტ-გაკვეთილების ერთად დაგეგმვა და განხორციელება, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა და ანალიზი.

[6] http://www.tpdc.ge/images/stories/pdf/sgs.pdf

ISSN 1512-1801

სწორედ ზემოაღნიშნული თანამშრომლობის გზები და ხერხები მოგვცემს პროფესიული ზრდისა და განვითარების საშუალებას, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება სწავლება-სწავლის პროცესზე. ეს საკმაოდ რთული და მტკივნეული თემაა, რომელზეც სერიოზული დაფიქრება სჭირდება პროფესიულ საზოგადოებასა და ხელმძღვანელ მუშაკებს, ვინაიდან სწორედ პედაგოგები აყალიბებენ მშობლებთან ერთად ამ ქვეყნის მომავალს.

რა თქმა უნდა, ყველა ვთანხმდებით, რომ განათლება განსაზღვრავს ადამიანის სულიერ კულტურას. განათლების გარეშე ადამიანისთვის მიუწვდომელი იქნება საზოგადოების საუკუნეების განმავლობაში დაგროვებული მონაპოვარი. ამ ყველაფერს კი, ჩვენი ღრმა რწმენით, საფუძვლად უდევს თანამშრომლობა და კომუნიკაცია.

ლიტერატურა:

1. სტატიები განათლების საკითხებზე, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრი, 2010; http://www.tpdc.ge/images/stories/pdf/sgs.pdf
2. http://www.cyh.com/HealthTopics/HealthTopicDetailsKids.aspx?p=335&np=286&id=2962 – What is cooperation?
3. ქეთევან ჭკუასელი, ივანე ჭკუასელი, პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი 2012 წ.
4. ,,სასწავლო და პროფესიული გარემო", მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრი,გამომცემლობა ,,საქართველოს მაცნე" 2008 წ.
5. სოფიკო ლობჟანიძე–კოლეგებთან თანამშრომლობა–წარმატების ერთ–ერთი პირობა;http://mastsavlebeli.ge/index.php?action=page&p_id=19&id=64